კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

წლიური ანგარიში

2022 წელი

სარჩევი

შესავალი ... 3
თავი I ინსტიტუციური განვითარება ... 4
რაოდენობრივი მაჩვენებლები ... 4
ადამიანური რესურსების მართვა ... 6
ინფრასტრუქტურის განვითარება ... 8
სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა ... 8
მულტიმედია ცენტრი ... 10
კონტრიბუცია ... 12
თავი II ხარისხის უზრუნველყოფა ... 14
შიდა ხარისხის მექანიზმების უზრუნველყოფა ... 14
აკადემიური პროგრამების განვითარება ... 15
თავი III საგანმანათლებლო სერვისების განვითარება ... 16
სტუდენტური სერვისების განვითარება ... 16
სტუდენტური აქტივობა ... 18
უწყვეტი განათლება ... 23
ბიბლიოთეკა ... 25
ინტერნაციონალიზაცია ... 28
თავი IV ფაკულტეტების საქმიანობა ... 29
სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი ... 29
სამართლის ფაკულტეტი ... 33
მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი ... 37
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი ... 40
მედიცინის ფაკულტეტი ... 44

შესავალი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის ხელშემწყობი საგანმანათლებლო-სამეცნიერო ინსტიტუციაა, რომელიც ავითარებს ქართულ და მსოფლიო კულტურის ფასეულობებს თანამედროვე ცოდნაზე დაყრდნობით. აღნიშნული გეზი დაწესებულებას აძლევს შესაძლებლობას აღზარდოს, როგორც ქართულ ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი დემოკრატიული ღირებულებების მქონე ახალგაზრდა თაობა.

დოკუმენტში წარმოდგენილია 2022 წლის უნივერსიტეტის წლიური ანგარიში. ანგარიშგება უნივერსიტეტის 2018-2024 წლების სტრატეგიული ციკლის ფარგლებში განხორციელდა და მოიცავს სტრატეგიული განვითარების მიმართულებებით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულების ანგარიშს.

თავი I ინსტიტუციური განვითარება

<u>რაოდენობრივი მაჩვენებლები</u>

2022 წლის მონაცემებით უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 5 ფაკულტეტი: ბიზნესის; სოციალურ მეცნიერებათა; სამართლის; მედიცინის; მევენახეობა-მეღვინეობის.

ფაკულტეტები და პროგრამები

ფაკულტეტი	საფეხური	პროგრამების ჩამონათვალი	რ-ბა
ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	ფინანსები	8
		მენეჯმენტი	
		ტურიზმი	
		ბიზნესის ადმინისტრირება ინგლისურენოვანი	
	მაგისტრატურა	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	
		საერთაშორისო მარკეტინგი	
		საერთაშორისო მარკეტინგი ინგლისურენოვანი	
	დოქტორანტურა	ბიზნესის ადმინისტრირება	
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	საერთაშორისო ურთიერთობები	7
		ჟურნალისტიკა	
	მაგისტრატურა	საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება	
		გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების ინგლისურენოვანი	
		მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება	
	დოქტორანტურა	პოლიტიკის მეცნიერებები	
		მასობრივი კომუნიკაციები	
სამართლის ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	სამართალი	3
	მაგისტრატურა	სამართალი	
	დოქტორანტურა	სამართალი	
მედიცინის ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	ფარმაცია	6
	ერთსაფეხურიანი	მედიცინის ქართულენოვანი	
		მედიცინის ინგლისურენოვანი	
		სტომატოლოგიის ქართულენოვანი	
		სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი	
	რეზიდენტურა	თერაპიული სტომატოლოგია	
მევენახეობა - მეღვინეობა	საბაკალავრო	მევენახეობა-მეღვინეობა	2
	მაგისტრატურა	მევენახეობა-მეღვინეობა	
			26

აქტიური სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით

ფაკულ ტეტი	საფეხური	პროგრამების ჩამონათვალი	სტუდ. რ-ბა
ბიზნესის ფაკულ ტეტი	ბაკალავრ იატი	ფინანსები	73
		მენეჯმენტი	117
		ტურიზმი	128
		ბიზნესის ადმინისტრირება ინგლისურენოვანი	27
	მაგისტრა ტურა	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	29
		საერთაშორისო მარკეტინგი	26
		საერთაშორისო მარკეტინგი ინგლისურენოვანი	6
	დოქტორა ნტურა	ბიზნესის ადმინისტრირება	31
სოციალ ურ მეცნიერ ებათა ფაკულ ტეტი	ბაკალავრ იატი	საერთაშორისო ურთიერთობები	362
		ჟურნალისტიკა	189
	მაგისტრა ტურა	საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება	116
		გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების ინგლისურენოვანი	16
		მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება	22
	დოქტორა ნტურა	პოლიტიკის მეცნიერებები	30
		მასობრივი კომუნიკაციები	66
სამართ ლის ფაკულ ტეტი	ბაკალავრ იატი	სამართალი	359
	მაგისტრა ტურა	სამართალი	151
	დოქტორა ნტურა	სამართალი	109
მედიცი ნის ფაკულ ტეტი	ბაკალავრ იატი	ფარმაცია	114
	ერთსაფეხ ურიანი	მედიცინის ქართულენოვანი	636
		მედიცინის ინგლისურენოვანი	974
		სტომატოლოგიის ქართულენოვანი	188
		სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი	519
	რეზიდენ ტურა	თერაპიული სტომატოლოგია	2
მევენახე ობა - მეღვინე ობა	საბაკალავ რო	მევენახეობა-მეღვინეობა	241
	მაგისტრა ტურა	მევენახეობა-მეღვინეობა	42
			4573

აკადემიური პერსონალი

აკადემიური თანამდებობა			პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ - პროფესორი	ასისტენტი	მოწვეული ლექტორი
ფაკულტეტი	სოციალური მეცნიერები	რ-ბა	5	26	4	4	37
		მათ შორის აფილირებული	3	15	3	3	
		მათ შორის უცხოელი პერსონალი			1		2
	ბიზნესი	რ-ბა	15	35	3	1	18
		მათ შორის აფილირებული	6	25	3	1	
		მათ შორის უცხოელი პერსონალი					
	სამართალი	რ-ბა	4	16	9		11
		მათ შორის აფილირებული	4	16	9		
		მათ შორის უცხოელი პერსონალი					
	მედიცინა	რ-ბა	9	31	12	2	
		მათ შორის აფილირებული					
		მათ შორის უცხოელი პერსონალი					
	მეღვინეობა მევენახეობა	რ-ბა	3	8	3		3
		მათ შორის აფილირებული		6	2		
		მათ შორის უცხოელი პერსონალი					
		ჯამი	36	116	31	7	71

ადამიანური რესურსების მართვა

პერსონალის მართვის სამსახური თავისი ფუნქციიდან გამომდინარე სისტემატიურად ზრუნავს აკადემიურ/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. აღნიშნული გამოხატულია ტრენინგების, კონსულტაციების, სტაჟირების და პრაქტიკის სახით.

აკადემიური/მოწვეული პერსონალი

პერსონალის მართვის სამსახური ორგანიზებას უწევს კონკურსებს აკადემიურ თანამდებობებზე. 2022 წლის საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ გამოცხადდა 5 (ხუთი) კონკურსი, რის შედეგადაც შეირჩა სულ 92 კვალიფიციური აკადემიური პერსონალის წევრი, მათ 18 შორის პროფესორი , 53 ასოცირებული პროფესორი , 13 ასისტენტ პროფესორი და 8 ასისტენტი.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები:

თარიღი	განხორციელებული აქტივობები
18 მარტი	საქართველოს ეროვნული არქივის ტრენინგი, გადამზადდა 1 თანამშრომელი
24 მაისი	ემოციური ინტელექტი- ტრენინგი გაიარა 13 თანამშრომელმა
3 - 15 მაისი	შრომის სამართალი, -გადამზადება გაიარა 4 თანამშრომელმა
2 მაისი - 6 ივნისი	Excel-ის სავალდებულო ტრენინგ კურსი ადმინისტრაციული თანამშრომლებისთის-სწავლება გაიარა 4 თანამშრომელმა (მოწვეული ტრენერი)
15 მაისი - 9 ივნისი.	პროექტების მართვა,-ტრენინგი გაიარა 7 თანამშრომელმა
23 ივნისი	განმავითარებელი თვითშეფასების ტრენინგი-სემინარი მოისმინა 13 თანამშრომელმა
20 ივლისი	ბრენდინგი, მარკეტინგი და ლიდერობა, ეფექტიანი სამუშაო პროცესების წარმართვა -ტრენინგი გაიარა 2 თანამშრომელმა
2 აგვისტო	გართულებული რეკრუტინგი- სემინარი/ტრენინგი, პერსონალის მართვის სამსახურის 3 თანამშრომელი
აგვისტო	შრომის უსაფრთხოების ტრენინგ- გადამზადება გაიარა უსაფრთხოების სამსახურის 14 თანამშრომელმა.
ნოემბერი	საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშების მომზადება, ტრენინგი გაიარა 10 თანამშრომელმა
დეკემბერი	სოციალური მედიის კურსი - უნივერსიტეტის სოციალური გვერდების ადმინისტრატორებისთვის, გადამზადდა 1 თანამშრომელი
	ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით მუდმივად ტარდება მოსამზადებელი კურსები ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით.

პროფესორ/მასწავლებლების ტრენინგები

თარიღი	განხორციელებული აქტივობა
იანვარი	მეცნიერების მენეჯმენტი- მოისმინა 20 მდე თანამშრომელმა (ადმინისტრაცია/აკადემიური პერსონალი)-ონლაინ ფორმატი.
თებერვალი	სოციალური კვლევის მეთოდები ჟურნალისტებისთვის. სწავლება გაიარა 10 აკადემიურ თანამდებობაზე მყოფმა პროფესორმა.
მარტი - აპრილი	სოციალური კვლების მეთოდები- საერთაშორისო ურთიერთობების ლექტორებისთვის- სწავლება გაიარა 10 აკადემიურ თანამდებობაზე მყოფმა პროფესორმა.
ნოემბერი	ხელოვნური ინტელექტი და სამართლის მომავალი-სამართლის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის. 11 თანამშრომელი.
28 ნოემბერი	უსაფრთხოების განზომილების ახალი პირობები პოსტკოვიდურ პერიოდში, პოლონეთის მაგალითზე- ტრენინგი გაიარა 9 თანამშრომელმა

ინფრასტრუქტურის განვითარება

2022 საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურული მიმართულებით მრავალი ცვლილება და სიახლე განხორციელდა.

განახლდა ფაკულტეტის ოთახები და აუდიტორიების ავეჯი. არსებული ავეჯი ჩამოიწერა უნივერსიტეტის ბალანსიდან და გასხვისების გზით გადაეცა რეგიონების სკოლებს.

2022 წელს დაიწყო მომწოდებელი კომპანიების აღწერა და მათი პროდუქციის ხარისხის განსაზღვრა ISO სტანდარტებით,.

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა

2022 სასწავლო წელს სამეცნიერო მიმართულებით შემუშავდა რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა, განხორციელდა ხვადასხვა აქტივობები და მოზიდულ იქნა როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო გრანტები.

მომზადებული მნიშნელოვანი დოკუმენტები და განხორციელებული აქტივობები

- ✓ მომზადდა სამეცნიერო აქტივობების შეფასების და წახალისების წესი.
- ✓ მომზადდა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრატეგია.
- ✓
- ✓ მომზადდა ცვლილებების პროექტი აკადემიური და სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების წესებში.
- ✓ განხორციელდა უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ფორმების ანალიზი.
- ✓ მომზადდა სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.
- ✓ სამეცნიერო დეპარტამენტის მიერ მიმდინარეობდა უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის ადმინისტრირება, ჟურნალის ვებ-საიტია: www.journal.ciu.edu.ge.
- ✓ სამეცნიერო დეპარტამენტის მიერ მიმდინარეობდა უნივერსიტეტის სამეცნიერო პორტალის research.ciu.edu.ge ადმინისტრირება.
- ✓ უწყვეტად მიმდინარეობდა დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტების ფარგლებში აფილირებული აკადემიური პერსონალის ინიციატივების მხარდაჭერა, საკონსულტაციო საქმიანობა (სტატიების გამოქვეყნება, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო-საგრანტო აპლიკაციების მომზადება, მეცნიერების პოულარიზაცია. სხვ.) და უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროექტების მონიტორინგი.

CIU-ს მეცნიერების და დოქტორანტების მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდებიდან მოზიდული გრანტები

- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გაიმარჯვა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2022 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში. კვლევითი პროექტის სათაურია - „ინკლუზიური უმაღლესი განათლება მდგრადი განვითარების კონტექსტში - ძირითადი თეორიული ცნებები საერთაშორისო კროს-ქეის ანალიზის საფუძველზე (საქართველო და შვედეთი)". პროექტის ხანგრძლივობა 3 წელია, საერთო ბიუჯეტით 190 775 ლარი. პროექტის წამყვანი და თანადამფინანსებელი ორგანიზაციაა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საიდანაც ძირითადი მკვლევარი ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი, რექტორი კახაბერ კორძაიაა. პროექტის პარტნიორი ორგანიზაციაა შვედეთის ევლეს უნივერსიტეტი. კვლევით პროექტში ჩართულია ორი შვედი პროფესორი ძირითადი მკვლევრისა და კონსულტანტის პოზიციებზე, ხოლო ორი ქართველი პროფესორი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომლებიც კვლევის მიზნების და ამოცანების განხორციელებას უზრუნველყოფენ.
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა შორენა ქურდაძემ მოიპოვა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის DAAD-ის სტიპენდია Research Stays for University Academics and Scientists 2022, რომლის ფარგლებშიც 1 თვიანი კვლევითი ვიზიტით გაემგზავრა გერმანიაში, ფორცჰაიმის უნივერსიტეტში. მისი საკვლევი თემა არის საერთაშორისო შესაძლებლობების იდენტიფიკაციის პროცესი გერმანულ მცირე და საშუალო საწარმოებში, რომელზეც მან გერმანელ კოლეგებთან ერთად იმუშავა.
- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა თამარ დევიძემ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2022 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსიში გაიმარჯვა. მისი კვლევის სათაურია „პან-თურქიზმის გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ უსაფრთხოებაზე", რომლის მიზანია პან-თურქული იდეოლოგიის კვლევა იდეოლოგიის ჩასახვის დღიდან ოსმალეთის იმპერიის არსებობის ბოლო წლებამდე.

CIU-ს მეცნიერების და დოქტორანტების მიერ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი იყო 11 პროექტი.

CIU-ს მიერ დაფინანსებული პროექტები

უნივერსიტეტის 2022 წლის ფუნდამენტური კვლევების დაფინანსების კონკურსში გაიმარჯვა ხუთმა პროექტმა. ერთობლივი კვლევების განხორციელებისა და მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის მიზნით კსუ-ს ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსში ერთ-ერთი მოთხოვნაა უცხოურ უნივერსიტეტთან ინსტიტუციური თანამშრომლობა და უცხოელი მეცნიერის ჩართვა კვლევაში ძირითადი პერსონალის სახით. ზემოაღნიშნულ ხუთივე პროექტის ფარგლებში გაფორმდა კვლევითი თანამშრომლობის ხელშეკრულებები საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით ცენტრებთან, საიდანაც ჩართულები არიან მკვლევრები და მუშაობენ უნივერსიტეტის მეცნიერებთან ერთად.

1. მედიცინის ფაკულტეტი - *საქართველოში ეპილეფსიის ტვირთის სიმძიმის შეფასება ამბულატორიულ პაციენტებში დაავადების მიზეზით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემების რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე,* პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი სოფიო კასრაძე.

2. მედიცინის ფაკულტეტი - *საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში ეპილეფსიასთან ასოცირებული ატიტუდებისა და ეპილეფსიის შესახებ არსებული ცოდნის ცვლილებების კვლევა საქართველოში ათწლიანი ინტერვენციული აქტივობების შემდეგ,* პროექტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ნინო გოგატიშვილი.

3. ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი - *გასტრონომიული ბიზნესის მარკეტინგის თავისებურებები პოსტპანდემიურ პერიოდში, მისი ციფრული ტრანსფორმაცია, განვითარების ტენდენციები, გამოწვევები და შესაძლებლობები* - პროექტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი რუსუდან დალაქიშვილი.

4. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - *პოლიტიკური კრიზისების მართვის მეტაკოგნიტური თეორია და პოლიტიკური ქცევების ლასველ - ფლაიველის მეტაკოგნიტური სამეცნიერო მონიტორინგის სისტემა* - პროექტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ალექსანდრე რუსეცკი.

5. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - *ტყუილის კვლევა ნეიროფიდბექის მეთოდოლოგიით* - პროექტის ხელმძღვანელი, პროფეს+ორი ვახტანგ მაისაია.

CIU-ს მეცნიერების მიერ scopus-ის ან/და web of science-ის ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნდა შვიდი სტატია. მათგან სამი არის *საერთაშორისო კვლევითი პროექტების* ფარგლებში განხორციელებული კვლევები, რომელშიც უნივერსიტეტის მეცნიერები არიან მკვლევრები და სტატიების თანაავტორები.

მულტიმედია ცენტრი

მულტიმედია ცენტრი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც თანამედროვე მედიატექნოლოგიებთან ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტების წვდომისა და კონკურენტუნარიანი მედიაპროდუქციის მომზადების მიზნით, უზრუნველყოფს:

- სალექციო კურსებზე დაფუძნებული მედიაპროდუქციის შექმნას;
- სამეცნიერო და კვლევითი პროცესების ვიზუალიზაციას;
- სასწავლო-სამეცნიერო, საგანმანათლებლო-შემეცნებითი და მხატვრულ-დოკუმენტური აუდიო, ბეჭდური და ვიდეო მედიაპროდუქციის წარმოებას;
- მედიაარქივის შექმნას, განახლებასა და განვითარებას;
- ერთობლივი პროექტების განხორციელების და ცენტრის ბაზაზე შექმნილი მედიაპროდუქციის გავრცელების მიზნით, მედია საშუალებებთან თანამშრომლობას.

მულტიმედია ცენტრი, საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, მუდმივად უწყობს ხელს ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესს.

2022 წლის განმავლობაში მულტიმედია ცენტრის ბაზაზე, კონკრეტული სალექციო კურსების ფარგლებში, მომზადდა არაერთი მედიაპროდუქტი.

პროდუქტი	აქტივობა	მტკიცებულება
ტელეგადაცემების მომზადება	თბილისის ლისის ტბის გარეშე?!	სიუჟეტები - http://multimedia.ciu.edu.ge/tv_album/index/131?lang=ge
	პატარა მედიამენეჯერი გურიიდან	
	Ugly Fashion	
	მწვანე ნერგია	
	მშრალი ხიდი-მოგონებების ბაზრობა	
	ანიმაცია	
	სტრესი და დეპრესია	
რადიოგადაცემების მომზადება	მეგობრობა ჰერეთიდან	რადიო - http://multimedia.ciu.edu.ge/radio
	„გამარჯობა, ქართველი ხარ?“	
	"გაგვისინჯე ბლინები"	
	ოთხი ამბავი	
	მოგზაურობის ფაზლი	
პოდკასტი პოდკასტების მთელი სერია - „მიჰყევი ხმას“ ერთგულ	„ომლეტი ბულგარული წიწაკის ხრაშუნით“ - ნინი თათრიშვილის პოდკასტი	პოდკასტი - http://multimedia.ciu.edu.ge/podcast
	"ალექსის წითელქუდა" - სოფო ძნელაძის პოდკასტი	
	"დედა გავხდი" - თამთა კოპლატაძის პოდკასტი	

მსმენელებს არაერთ საინტერესო თემას სთავაზობს.	სცენა და სიყვარული - სოფო ძნელაძისა და მარიამ ხინიკაძის პოდკასტი	
	მთაში დაბრუნებული მასწავლებელი - მარიამ მიდელაურის პოდკასტი	
	მუსიკა უნივერსალურ ენაზე - სოფო ძნელაძისა და მარიამ ხინიკაძის პოდკასტი	
	ომის ჟურნალისტიკა - სოსო გაზდელიანის პოდკასტი	
	რა არის ბედნიერება? - ბავშვები გვეტყვიან - მარი მაზიაშვილის პოდკასტი	
	„მეგონა, ეიფელი ჩემთვის განათდა“ - ანი დევიძის პოდკასტი	
	"მე გადავცურე ენგური" - თამარ ოყუჯავას პოდკასტი	
	სიმღერა დახუჭული თვალებით - ნატო ქადაგიშვილის პოდკასტი	
	დაბადებამდე მოყოლილი ამბები - ანი დევიძის პოდკასტი	
ფოტო	სტუდენტები მულტიმედია ცენტრის ბაზაზე, შესბამისი საგნის ფარგლებში, მუდმივად მუშაობენ ახალ პროეტებზე. 2022 წლის ფოტონამუშევრების გამოფენა-პრეზენტაცია 2023 წელს იგეგმება, რის გამოც შესაბამისი ნამუშევრები ჯერჯერობით ონლაინ არაა ხელმისაწვდომი	ფოტო - http://multimedia.ciu.edu.ge/photo_gallery_item/index/Photoreportage-1
ფოტოისტორია სტუდენტების მიერ მოამზადებული ვიდეორგოლები. ფოტოებით მოყოლილი ამბები, ერთი ქუდის - „ფოტოისტორიის“ ქვეშ გაერთიანდა.	საქართველო 2021	ფოტოისტორია - http://multimedia.ciu.edu.ge/tv_album/index/144
	ომის აჩრდილი	
სოციალური რეკლამა: სოციალური ვიდეორგოლი ბავშვთა უფლებების თემატიკაზე.	„ერთად დავიცვათ ჩვენი მომავალი!“	სოციალური რეკლამა - http://multimedia.ciu.edu.ge/tv_album/index/143
სატელევიზიო გადაცემები პროექტი **„ავტოგრაფი“**	დათო ევგენიძე	ავტოგრაფი - http://multimedia.ciu.edu.ge/tv_album/index/128
	ტარიელ ხარხელაური	
სტუდენტების მიერ დაწერილი და ვიზუალურად გააფორმებული ბლოგები	თაღოვანი კაშხალი, როგორც აფხაზეთთან კავშირის სიმბოლო;	ბლოგი - http://multimedia.ciu.edu.ge/blog
	ზუგდიდის განახლებული ინფრასტრუქტურა;	
	ქუთაისის ცენტრი - კოლხეთის სიმბოლო;	
	თბილისის ზოოპარკის ახალი სიცოცხლე.	
სტუდენტთა ნამუშევრები ბეჭდური მედიის ნაწილში	სასწავლო გაზეთი - „ლატერნა“	ბეჭდური მედია - http://multimedia.ciu.edu.ge/journals http://multimedia.ciu.edu.ge/newspaper/index/128
	სასწავლო ჟურნალი - „ანფასი“	
მედიასკოპი ახალი პლატფორმა	გზა აუდიტორიის ნდობის მოსაპოვებლად ეთიკაზე გადის;	მედიასკოპი - http://multimedia.ciu.edu.ge/all_news?cat=13
	„ვინც ცდილობს, მიიღოს იმაზე მეტი, ვიდრე დაშვებულია, პროფესიულ გზაზე ბევრი წინაღობა ხვდება“ - ინტერვიუ ლია ტოკლიკიშვილთან;	
	რეპორტაჟი, როგორც ჟანრების „მეფე“;	

მომზადებული მასალები:	სპორტის ჟურნალისტიკა, როგორც თანამედროვე მედიის პოპულარული სფერო;	
	დროის უწყვეტ დინებაში დაჭერილი წამი;	
	„ვინც ფლობს ინფორმაციას - ის ფლობს მსოფლიოს!“;	
	„დილის პროგრამა რიტმს გკარნახობს“ - ინტერვიუ ზურა ბალანჩივაძესთან;	
	გზა აუდიტორიის ნდობის მოსაპოვებლად ეთიკაზე გადის;	
განხორციელებული და მიმდინარე პროექტები	„ყვარლიდან მთაწმინდამდე გურამ შარაძის მოტივებზე“	„ქართული ლიტერატურა 90 წუთში. ლოკალური და გლობალური“ - http://multimedia.ciu.edu.ge/tv_album/index/141
	„ქართული ლიტერატურა 90 წუთში. ლოკალური და გლობალური“	
	„ქართული საბავშვო მწერლობა. „დედაენიდან“ „სალამურამდე“	

კონტრიბუცია

2022 წელს უნივერსიტეტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები(მე-3 მისიის ფარგლებში):

- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეგიდით გამოიცა წიგნი - „საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია“;
- უნივერსიტეტმა შეხვედრა გამართა პოეტ ტარიელ ხარხელაურთან;
- 9 დეკემბერი - ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა საჯარო ლექცია;
- 7-8 დეკემბერი - უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია - „სიმსივნური ახალწარმოქმნებისა და სხვა არაინფექციური დაავადებების სინერგიული კომბინირებული მკურნალობის უახლესი ტენდენციები. ბიო და ნანოტექნოლოგიები მედიცინასა და ფარმაციაში“;
- გაიმართა საინფორმაციო კამპანია ქალთა ძალადობის თემაზე;
- 29 ნოემბერი - სამართლის ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა სამეცნიერო დისკუსია - „სოციალური სამართლის არსი და გამოწვევები თანამედროვე საზოგადოებაში“;
- 24 ნოემბერი - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სტუდენტური კლუბის ორგანიზებით გაიმართა მრგვალი მაგიდა - „საქართველოს როლი ნატოს სამშვიდობო მისიებში“;
- 20 ნოემბერი - გაიმართა სასკოლო-საგანმანათლებლო პროექტი - „კამათის ხელოვნება“;
- 21 ნოემბერი - გაიმართა საჯარო ლექცია, ალექსანდრე ჯეჯელავასთან ერთად, თემაზე - „წარმატება 21-ე საუკუნეში“;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი გახდა ერთ-ერთი ორგანიზატორი პოლონეთში - ქალაქ ოსტროვეც-სვენტოკშისკში - ბიზნესისა და მეწარმეობის უნივერსიტეტში გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა - „ახალი დიდი დეპრესია - COVID-19 - პანდემიის სახეები, კურსი და შედეგები“; კონფერენციაში მონაწილეობდა უნივერსიტეტის ორი თანამშრომელი - პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორები - ვახტანგ მაისაია და ალიკა გუჩუა;
- 15 ნოემბერი - სამართლის ფაკულტეტის თაოსნობით გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე - „სააფთიაქო სამართალი, მოქმედი კანონმდებლობა და უახლესი ცვლილებები“;

- 9 ნოემბერი - გაიმართა საჯარო ლექცია - „მიხეილ მუსხელიშვილი - ერთიანი ევროპის სათავეებთან“ (მომხსენებლები - ვაჟა შუბითიძე; ედიშერ ჯაფარიძე; ლელა სარალიძე);
- 27 ოქტომბერი - გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერო-საქართველოს 30 წლიანი პარტნიორობის აღსანიშნავად გაიხსნა „მდგრადი განვითარების მიზნების ლაბორატორია“;
- 4 ოქტომბერი - გაიმართა საჯარო ლექცია - „საერთაშორისო ორგანიზაციების როლი საქართველოს ტურიზმის განვითარებისთვის“ (მომხსენებელი - ქეთევან მელაძე);
- 26 სექტემბერი - ცნობილი საზოგადო მოღვაწის - ნიკო ნიკოლაძის 179 წლისთავთან დაკავშირებით უნივერსიტეტში გაიხსნა დიდი პუბლიცისტის სახელობის საკონფერენციო დარბაზი; შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი - სალომე ზურაბიშვილი;
- 23 სექტემბერი - გაიმართა საჯარო შეხვედრა - „გამარჯობა, სოხუმო! - მწერალ გურამ ოდიშარიასთან ერთად;
- 22 სექტემბერი - გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის - ეკა ხოფერიას საჯარო ლექცია;
- გაიხსნა პოლიტიკური განათლების საზაფხულო სკოლა სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტთათვის;
- 13 ივნისი - უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებმა ჩაატარეს პირველადი დახმარების ტრენინგი;
- 22 ივნისი - გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „თანამედროვე სამართლის გამოწვევები“;
- 21 ივნისი - გაიმართა ჩეხეთის ცენტრის გამოფენა - „ჩემი სამშობლო“;
- 17 ივნისი - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის განათლების ცენტრთან;
- 13 მაისი - გაიმართა ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის მეათე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია;
- 1-3-8-10 ივნისი - ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული მედიაგანათლების პროექტის ფარგლებში ჩატარდა ლექციების ციკლი რეგიონული მედიის სპეციფიკაზე (სპიკერები - კევინ ლაითფუტი, დებრა ალფარონი, სკოტ დოლი);
- 25 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გაიმართა საჯარო დისკუსია - „ქართული სამართლისა და მედიცინის გამოწვევები დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე“;
- 23 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში გამოვლინდა ესეების კონკურსში გამარჯვებულნი;
- 6-10 მაისი - უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით, პოლიტიკის მეცნიერებათა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტებისა და პროგრამაში ჩართული პროფესორებისათვის განხორციელდა საგანმანათლებლო ტური ტრაპიზონსა და ტაო-კლარჯეთში;
- 16 მაისი - გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიაში გაიმართა მშვიდობიანი თანაარსებობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა - „მეტაპოლიტოლოგიისა და აკადემიური დიპლომატიის როლი მშვიდობიანი თანაარსებობისათვის“;

- 3 მაისი - გაიმართა სამეცნიერო პრემია „თამარის“ რიგით მესამე დაჯილდოების ცერემონია;
- შემუშავდა ეროვნული გამოცდებისათვის აბიტურიენტების მომზადების ორთვიანი უფასო პროგრამა;
- აბიტურიენტებისთვის მეორედ ჩატარდა პროექტი - „გახდი იურისტი“!;
- 4 აპრილი - გაიმართა „CIU მედიასკოლისა“ და „ბიზნესის აკადემიის“ მონაწილეთა დაჯილდოება;
- 22 აპრილი - ჩატარდა სასკოლო-საგანმანათლებლო კონკურსი - „სახელმწიფო ენა - ქვეყნის ღირსების საზომი“;
- 28 მარტი - გაიმართა აბიტურიენტთა დაჯილდოება „საერთაშორისო პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლის“ ფარგლებში;
- 21-27 მარტი - ბიზნესის ფაკულტეტი „გლობალური ფულის კვირეულს“ შეუერთდა;
- 21 თებერვალი - საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა უნივერსიტეტის მასშტაბური პროექტის - „კონსტიტუციონალიზმის ტრილოგიის“ მესამე საიუბილეო ტომის - „პირველი ქართული კონსტიტუციის 100 წელი“ - პრეზენტაცია;
- 21 იანვარი - აბიტურიენტებისათვის გაიმართა სატრენინგო შეხვედრა - „პროფესიის არჩევის მნიშვნელობა“.

თავი II ხარისხის უზრუნველყოფა

<u>შიდა ხარისხის მექანიზმების უზრუნველყოფა</u>

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხარისხის შეფასების პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების მიზნით განხორციელებული პროცესებისა და ჩატარებული ღონისძიებების შეფასებასა და ანალიზს.
   (უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარება მოიცავს:
   ა) კვალიფიციური პერსონალის შერჩევას დადგენილი მოთხოვნებისა და კრიტერიუმების მიხედვით;
   ბ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების ტრენინგებს, მათი გადამზადების მიზნით);
2. საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებებისა და სასწავლო პროცესის განხორციელების შეფასებასა და ანალიზს;

3. საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას;
4. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ყოველი სემესტრის ბოლოს;
5. კურსდამთავრებულთა გამოკითხვას;
6. პოტენციური და რეალური დამსაქმებლების გამოკითხვას;
7. დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ პროგრამის შეფასებას.

<u>აკადემიური პროგრამების განვითარება</u>

2022 სასწავლო წელს საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდა ცვლილებები, რომელთა მიზანი იყო:

1. იმ საგანმანათლებლო პროგრამების განმეორებითი აკრედიტაციისთვის მომზადება, რომლებსაც 2022 წელს ეწურებოდა აკრედიტაციის ვადა;
2. პროფესორ-მასწავლებელთა, პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა, გარე ექსპერტთა გამოკითხვის შედეგებით, რჩევებითა და რეკომენდაციებით საგანმანათლებლო პროგრამების განახლება ახალი სასწავლო კურსებით;
3. ზოგიერთ პროგრამაში ახალი სასწავლო კურსების დამატება;
4. სასწავლო კურსების წინაპირობების კორექტირება;
5. სილაბუსებში სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გადახედვა;
6. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამედროვე ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურითა და სასწავლო მასალებით შევსება.

2022 წელს უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები

1. 2022 წლის 24 ივნისს ტურიზმის საბაკალავრო პროგრამამ 7 წლის ვადით განმეორებით მიიღო აკრედიტაცია;
2. 2022 წელს უნივერსიტეტში მომზადდა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2022 წლის 15 ნოემბერს წარდგენილ იქნა ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი საბაკალავრო პროგრამა.

ამასთან -

- 2022 სასწავლო წელს, უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობათა დასაკავებლად ჩატარდა 5 კონკურსი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის განვითარების პროცესშიც;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მუშაობს ზრდასრულთა უწყვეტი განათლების სფეროშიც;
- 2022 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელთათვის, დეკანებისთვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა არაერთი ტრენინგი;

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ იქნა მომზადებული ყველა სააკრედიტაციო ვიზიტი.

თავი III საგანმანათლებლო სერვისების განვითარება

<u>სტუდენტური სერვისების განვითარება</u>

2022 წელს სტუდენტთა მომსახურების სამსახურის თანამშრომელთა მიერ შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

- აღნიშნულ პერიოდში მიღებულია 1021 აპლიკანტის (უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველთა) საბუთი, დამუშავებულია ყოველი მათგანი, მომზადდა უნივერსიტეტის თანხმობის წერილი და გადაიგზავნა განსახილველად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;
- მითითებული 1021 აპლიკანტიდან კსუ-ში ჩაირიცხა 815 მათგანი, მათ შორის :
  2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხული სემესტრში - 201;
  2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომა სემესტრში - 614;

დარჩენილი 206 აპლიკანტი არ იქნა ჩარიცხული უნივერსიტეტში სხვადასხვა მიზეზების (არ მისცეს ვიზა, არ დააკმაყოფილა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, გააბრუნეს აეროპორტიდან, ფინანსური პრობლემის გამო ან პირადი მიზეზებით) გამო.

- 2022 წელს ფაკულტეტებზე ჩარიცხულ სტუდენტთა ხვედრითი წილი შემდეგია:
  მედიცინის ფაკულტეტი - 779 სტუდენტი;
  ბიზნესის ფაკულტეტი - 35 სტუდენტი;
  სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1 სტუდენტი;

- 2022 წელს სტუდენტთა მომსახურების სამსახურში შემოსული განცხადებები ეხებოდა უშუალოდ სტუდენტებს და შინაარსობრივად ასახავდა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს (გაცდენილი გამოცდის აღდგენა, ფინასური დავალიანება, საგამოცდო შეფასების გასაჩივრება და ა.შ).
- სულ აღნიშნულ პერიოდში სტუდენტთა მომსახურების სამსახურში შემოვიდა სტუდენტის 5207 განცხადება.
  აღნიშნული განცხადებები დამუშავდა დადგენილი წესის მიხედვით სამსახურის თანამშრომლების მიერ, უზრუნველყოფილ იქნა მათი მოძრაობა ბოლო შემსრულებლებამდე.

- სამსახურზე დებულებით გაწერილი მოვალეობების საფუძველზე უმკაცრეს კონტროლს არის დაქვემდებარებული:

სემესტრული საბოლოო უწყისების, აღიარების დოკუმენტების, გადაწყვეტილებების, დიპლომის ასლების, სტატუსშეწყვეტილ და კურსდამთავრებულ სტუდენტთა პირადი საქმეების დადგენილ ვადებში, სრულყოფილი სახით მიღება, შენახვა და დაარქივება;

- მომზადდა საქმეების, წიგნებისა და ჟურნალების ნომენკლატურა. ნომენკლატურის მიხედვით სტუდენტთა მომსახურების სამსახურში, საქმისწარ-მოების წესების დაცვით, შეიკერა და დაარქივდა:

აღიარების დოკუმენტები (საქმე N3) - 2 ტომად;
სემესტრული საბოლოო უწყისები (საქმე N2) – 12 ტომად;
გადაწყვეტილება (საქმე N5) - 1 ტომად;
კურსდამთავრებულ სტუდენტთა პირადი საქმეები - 17 ბაინდერი (494 სტუდენტი);
სტატუსშეწყვეტილ სტუდენტთა პირადი საქმეები - 17 ბაინდერი (512 სტუდენტი);

- სულ 2022 წელს სტუდენტთა მომსახურების სამსახურში შეკერილია 5 საქმე 15 ტომად და 37 ბაინდერი 1006 სტუდენტის პირადი საქმით.
- 2022 კალენდარულ წელს სტუდენტთა მომსახურების სამსახურში შემოვიდა 595 კურსდამთავრებულის დიპლომი. შესაბამისად, მომზადდა: 1. დიპლომების გაცემის ჟურნალი; 2. თითოეულ დიპლომში ჩაიწერა სარეგისტრაციო ნომერი; 3. დასკანერდა დიპლომი და დიპლომის დანართები; 4. დასკაანერებული დოკუმენტები გადაეგზავნა რეესტრზე პასუხისმგებელ პირს; 5. დახარისხდა ნუმერაციით და შენახულ იქნა ცეცხლგამძლე კარადაში;
- 2022 წელს სტუდენტთა მომსახურების სამსახურში სტუდენტთა განცხადებების საფუძველზე მომზადდა და გაიცა 13 023 ცნობა;

- დღეისათვის სტუდენტთა მომსახურების სამსახურის თანამშრომელთა მთელი შემადგენლობა აქტიურად მუშაობს საქმიანობის ხარისხის ამაღლების და მუშაობის სისტემის სრულყოფისათვის.

სტუდენტური აქტივობა

სტუდენტური აქტივობების მიმართულებით 2022 წელის საკმაოდ ნაყოფიერი და აქტივობებით დატვირთული იყო. აქტივობები განხორციელდა სპორტული, ინტელექტუალური, კულტურული და სხვადასხვა დაწესებულებებში ვიზიტებით.

წარმოდგენილია 2022 წლის შემდეგი აქტივობები:

თარიღი	აქტივობა	მიმართულება	მტკიცებულება
25.01.2022	სომხეთის თოვლის ფრენბურთის ღია ჩემპიონატი	სპორტული აქტივობა	https://ciu.edu.ge/news/index/somxeTis-Tovlis-frenburTis-Ria-Cempionati
28.01.2022	თბილისის ოლიმპიურ სასახლეში სტარტი აიღო საქართველოს კალათბურთის ჩემპიონატის „ა“ ლიგის 2022 წლის სეზონმა	სპორტული აქტივობა	https://shorturl.at/imGO9
25.03.2022	კსუ-ს ფუტსალის გუნდმა "ილიაუნი" 3:2 დაამარცხა	სპორტული აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=1000637
21.04.2022	კავკასიის გუნდი "კავკასია"- 'ა' ლიგის ჩემიპიონია	სპორტული აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=10
11.05.2022	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის (CIU) გუნდი ფუტსალის ლიგის ნახევარფინალშია!	სპორტული აქტივობა	https://shorturl.at/gpGH5
02.06.2022	CIU-ს ფუტსალის გუნდი საქართველოს ფუტსალის ლიგის ფინალშია	სპორტული აქტივობა	https://ciu.edu.ge/news/index/CIU-s-futsalis-gundi
05.06.2022	თბილისის სტუდენტური თასი 2022" ქვიშის ფეხბურთის დაჯილდოვება	სპორტული აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
10.06.2022	"ჯომარდობის ჩემპიონატი 2022	სპორტული აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
11.06.2022	ფუტძალის გუნდი ზედიზედ მეორედ "უნივერსიადა22-ის" გამარჯვებულია	სპორტული აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
17.07.2022	პოლონეთის ქალაქ ლოძში, სპორტის 19 სახეობაში, 2022 წლის ევროპული საუნივერსიტეტო თამაშები იმართება	სპორტული აქტივობა	https://ciu.edu.ge/news/index/poloneTis-qalaq-loZSi-sportis-19-saxeobaSi-2022-wlis-evropuli-sauniversiteto-TamaSebi-imarTeba
12.07.2022	თბილისის სტუდენტური ფესტივალი 2022-ის“ დახურვის ღონისძიება გაიმართა 1 ადგილი - ქვიშის ფეხბურთი, ბილიარდი; 2 ადგილი - ხელბურთი, ნარდი; 3 ადგილი - შაში, მაგიდის ჩოგბურთი.	სპორტული აქტივობა	https://ciu.edu.ge/news/index/Tbilisis-studenturi-festivali-2022-is-daxurvis-RonisZieba-gaimarTa

21.07.2022	CIU-ს ფუტსალის გუნდის წარმატება ევროპულ საუნივერსიტეტო თამაშებში. ირველ შეხვედრაში ნორვეგიის ეკონომიკის სკოლის გუნდი 12:0 დაამარცხა, მეორე მატჩში ფინურ ლაპეენრანტას ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს 8:0 სძლია, მესამე შეხვედრაში სლოვენიური მარიბორის უნივერსიტეტი 4:0, ხოლო ბოლო მატჩში შვეიცარიული ლოზანას უნივერსიტეტი 5:4 დაამარცხა.	სპორტული აქტივობა	https://ciu.edu.ge/news/index/CIU-s-futsalis-gundis-warmateba-evropul-sauniversiteto-TamaSebSi
22.07.2022	22.07.2022 ევროპის ჩემპიონატი CIU-ს ფუტსალის გუნდი ნახევარფინალშია!	სპორტული აქტივობა	https://ciu.edu.ge/news/index/CIU-s-futsalis-gundi-naxevarfinalSia
19.10.2022	CIU-ს საკალათბურთო გუნდი - კავკასია დუდუ დადიანის მემორიალური ტურნირის გამარჯვებულია!	სპორტული აქტივობა	https://ciu.edu.ge/news/index/CIU-s-sakalaTburTo-gundi-kavkasia-dudu-dadianis-memorialuri-turniris-gamarjvebulia
03.11.2022	საქართველოს უნივერსიადა 2022" ფეინთბოლი	სპორტული აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
08.11.2022	"საქართველოს უნივერსიადა 2022" ფეხბურთი ბიჭებში	სპორტული აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
09.11.2022	"საქართველოს უნივერსიადა 2022" სამბოში	სპორტული აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
15.11.2022	"საქართველოს უნივერსიადა 2022" ნარდში	სპორტული აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
23.11.2022	CIU ფუტძალის გუნდი უნივერისიადის ჩემპიონია	სპორტული აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
28.01.2022	რა? სად? როდის? ბიზნეს-ლიგის მე-9 ტურში კსუს ნაკრებმა გამარჯვება მოიპოვა	საგანმანათლებლო აქტივობა	
08.03.2022	რა? სად? როდის? ბიზნეს ლიგის 2020/22 წლების სეზონის ბოლო ტური(კსუ-ს გუნდი ვიცე ჩემპიონი გახდა)	საგანმანათლებლო აქტივობა	https://shorturl.at/sxGT8
14.03.2022	CIU ინტელექტკლუბი ახალ სეზონს იწყებს	საგანმანათლებლო აქტივობა	https://ciu.edu.ge/news/index/CIU-inteleqtklubi-axal-sezons-iwyebs
15.03.2022	საქართველოს ინტელექტკლუბის ორგანიზებით მიმდინარე „რა? სად? როდის?“ ბიზნეს-ლიგა 2020/22-ის სეზონი დასრულდა	საგანმანათლებლო აქტივობა	https://shorturl.at/swxQT
31.03.2022	ინტელექტუალური დუელი	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/7163600413709867/
01.04.2022	„ინტელექტუალური დუელი“ სტუდენტებისთვის	საგანმანათლებლო აქტივობა	https://ciu.edu.ge/news/index/inteleqtualuri-dueli-studentebisTvis
13.04.2022	მეტი ევროპა საქართველოში“	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/7229343940468847/
25.04.2022	ვიქტორინა “We Are The World	საგანმანათლებლო აქტივობა	https://shorturl.at/iSV57
29.04.2022	CIU-ში „რა? სად? როდის?“ ჩემპიონატი განახლდა	საგანმანათლებლო აქტივობა	https://ciu.edu.ge/news/index/What-Where-When-Championship-Resumed-at-CIU

13.05.2022	ინტელექტუალური ქვიზი „ ფეხბურთი მეტია, ვიდრე გაზაევი“.	საგანმანათლებლო აქტივობა	https://shorturl.at/dRZ79
20.05.2022	"ევროპის დღეები 2022' ევროინტეგრაციის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
20.05.2022	რა? სად? როდის? ჩემპიონატის მეორე ტური	საგანმანათლებლო აქტივობა	https://shorturl.at/bdekF
21.05.2022	კროსმაისტერის საავტორო ტურნირი	საგანმანათლებლო აქტივობა	https://rb.gy/hscfuy
21.05.2022	კვადროს ჩემპიონატი	საგანმანათლებლო აქტივობა	https://rb.gy/hscfuy
23.05.2022	სატელევიზიო რა? სად? როდის?	საგანმანათლებლო აქტივობა	https://rb.gy/x43dhj
27.05.2022	"ევროპის დღეები 2022' ევროინტეგრაციის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
16.06.2022	რა? სად? როდის? 2022 წლის გაზაფხულის სეზონის ფინალი.	საგანმანათლებლო აქტივობა	https://edu.aris.ge/news/ciu-inteleqtklilubma-2022-wlis-gazafxulis-sezoni-ra-sad-rodis-sportuli-chempionatis-finalit-daxura.html
20.06.2022	CIU ინტელექტკლილუბმა 2022 წლის გაზაფხულის სეზონი „რა? სად? როდის?“ სპორტული ჩემპიონატის ფინალით დახურა	საგანმანათლებლო აქტივობა	https://ciu.edu.ge/news/index/CIU-inteleqtklilubma-2022-wlis-gazafxulis-sezoni-ra-sad-rodis-sportuli-Cempionatis-finaliT-daxura
16.09.2022	რა?სად? როდის? ბიზნეს ლიგის მესამე ტურში გამარჯვება (კსუ ნაკრები)	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/photos/a.171608256242486/797091378297852 2/
30.09.2022	„რა? სად? როდის?“ ტურნირით - „ბუ და პინგვინი“	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/pfbid02aVqn68tnWyV4BnAY8M1tJyEwPTYCXEp44QtCn84iPbUChm6j8UxeLkaL3J8uHatnl
03.10.2022	CIU-ს ინტელექტკლუბმა 2022 წლის შემოდგომის სეზონი „რა? სად? როდის?“ ტურნირით - „ბუ და პინგვინი“ გახსნა	საგანმანათლებლო აქტივობა	https://ciu.edu.ge/news/index/CIU-s-inteleqtklubma-2022-wlis-Semodgomis-sezoni-ra-sad-rodis-turniriT-bu-da-pingvini-gaxsna
06.10.2022	CIU-ს ინტელექტკლუბში ქვიზ-ვიქტორინა აღმოაჩინე საქართველო გაიმართა	საგანმანათლებლო აქტივობა	https://ciu.edu.ge/news/index/CIU-s-inteleqtklubSi-qviz-viqtorina-aRmoaCine-saqarTvelo-gaimarTa
12.10.2022	„რა? სად? როდის?“ შემოდგომის სეზონის პირველი ტური გაიმართა.	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/pfbid0tpnUPvdPmd8y9cyPLWMaByEZsUcw4edDMXLAgSU5B1UN4ez85zeTTaj4eP6nmib6l
17.10.2022	CIU ინტელექტკლუბში „რა? სად? როდის?“ შემოდგომის სეზონის პირველი ტური გაიმართა.	საგანმანათლებლო აქტივობა	https://ciu.edu.ge/news/index/CIU-inteleqtklubSi-ra-sad-rodis-Semodgomis-sezonis-pirveli-turi-gaimarTa
18.10.2022	ქვიზ-ვიქტორინა - “We Are the World“	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/pfbid0uXr8L8QeqZuiPCq7aMtBbSTsXs9XMMtZ18fbAZygxLCKEnd68AekQJdQTksT9yPol
20.10.2022	გეოგრაფიული ქვიზ-ვიქტორინა -„კოლუმბიდან აიპოდამდე“	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/pfbid0Yjx3QGdDnFyjTYTJZKQ

			i6oumtcLXh4CmgbtPLaLjVB4dnvCVCLHrzMX33PPE8cyxl
25.10.2022	კროსვორდ -ტური	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/pfbid0w6GqHwL3Xc6CnBhZ6jTNPPE2o3vHc7eoqgagfwx4pV5LJqXefuC9u5MxbyYbUVv4l
25.10.2022	ინტელექტუალური დუელი	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/pfbid0w6GqHwL3Xc6CnBhZ6jTNPPE2o3vHc7eoqgagfwx4pV5LJqXefuC9u5MxbyYbUVv4l
04.11.2022	რა? სად? როდის? ჩემპიონატის მეორე ტური	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/photo/?fbid=8194203283982903&set=pcb.8194212283982003
08.11.2022	ქვიზ-ვიქტორინა - „ქართული დიპლომატიის გზა“	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/pfbid02vGz54xdU7Sh8FzCJCZp2kakC49kktnQGrwAaWyFpRP7XssxnnhVZyX3Thx59NkTRl
09.11.22	რა? სად? როდის? სატელევიზიო ჩემპიონატი ადმინისტრაციის თანამშრომლებთან	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/pfbid02iFMHiKP9gjZgHesJHnGwAUFWbFG5R28H5RKUmEbc8W3Mmc7vtJYMqTei2EVWv1WHl
11.11.2022	რა? სად? როდის? სატელევიზიო ჩემპიონატი	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/pfbid023kDr8AZaPL7XwybivhLjRBRhXV5bEm3Vy4FzJcKgGJYrj79Yd93xVZ6cYJh8ohvUl
12.11.2022	ბრეინ -რინგის ჩემპიონატი	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/photo/?fbid=8231108893625675&set=pcb.8231128980290333
12.11.2022	კვადროს ჩემპიონატის ფინალი	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/photo/?fbid=8231108893625675&set=pcb.8231128980290333
16.11.2022	საფეხბურთო ინტელექტუალური ჯეპარდი	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid03KS3hP8u5PjCsrmuon6RGg8qrE3pHnJnQuNM1ZQhiABZsP44dLes7uhTKeDz13kil&id=100068569633789
23.11.2022	კარლ -პოპერის დებატები	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/pfbid0rDXeeTxdpRWboin5ArqoTqUaiL5VtRZTqgfh5M8TTbg1d73YtMz5JaucfPW6HzNCl
25.11.2022	რა? სად? როდის? შემოდგომის სეზონის მესამე ტური	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid02936uofNH6wX8A9ysNpzuacauCdjvWafEEeVkyQQVQ26SCwTNupB6HGa4ruYH35Udl&id=100068569633789
29.11.2022	უცხოელი სტუდენტებისთვის, შემეცნებითი ქვიზ-ვიქტორინა	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/pfbid0SfXd6G6Vvzat8zuunRGgYB4hWv3mDZP3MHsaMJQzd8oPciuhvDhnXapb35WDEd58l
05.12.2022	ვიქტორინა ნატოსა და ევროკავშირზე - „მეტი ევროპა საქართველოში“	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/pfbid0cFBzEfpuKKwMBgQPekj

			S1rbw76ejg2Rtdcb6FGEEtLVQCgN3VzNR1e4K6mZb7shxl
13.12.2022	საფეხბურთო ვიქტორინა " ტყავის ბურთის ჯადოქრები	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid0P8KgoSwyXNaNiHK5vtSoA7UQodcgbK7a7w2cA48rBkE4hhQNHgWBj4H6aucs37ESl&id=100068569633789
17.12.2022	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტელექტკლუბის ორგანიზებით, 17 დეკემბერს „მელომანია“ გაიმართა	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid02LEFKCKWfLJeLadxcH7BKPV84Cm6XmfxMge89GLaJHyibZY6xRZkxiBvR6nPzv4rPl&id=100068569633789
22.12.2022	22 დეკემბერს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტელექტკლუბში 2022 წლის შემოდგომის სეზონის „რა? სად? როდის?“ ფინალური ტური გაიმართა.	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/pfbid02JP19HJMyfxesuekFpN3K7bV6QuKJFzkM7aokKYnBSP98dRCLK4ZzsgZqhfyVwCaCl
21.12.2022	ონლაინ მატრიცის შემოდგომის სეზონი	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/CIUniversity/posts/pfbid02JP19HJMyfxesuekFpN3K7bV6QuKJFzkM7aokKYnBSP98dRCLK4ZzsgZqhfyVwCaCl
28.03; 19.05; 15.06.	ონლაინ მატრიცის გაზაფხულის სეზონი (3 ტური)	საგანმანათლებლო აქტივობა	https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=pfbid02NmgTyvQQdiAbTDPMP3uvQ7MnWv646VgtW9Un2DPjEV9xzMHUBR66TuVqjnEPWYRcl&id=204129383415891
10.05.2022	სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები საქართველოს უზენაეს სასამართლოს ესტუმრნენ	გასვლით-შემეცნებითი აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
06.04.2022	საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უმასპინძლა	გასვლით-შემეცნებითი აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
6.04.2022	ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს სააგენტო "აწარმოე საქართველოში" მასპინძლობს	გასვლით-შემეცნებითი აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
06.04.2022	სტუდენტებს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უმასპინძლებს	გასვლით-შემეცნებითი აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
10.05.2022	სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები საქართველოს უზენაეს სასამართლოს ესტუმრნენ	გასვლით-შემეცნებითი აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
03.10.2022	ბიზნესის ფაკულტეტისთვის ჩატარდა გასვლითი ტური	გასვლით-შემეცნებითი აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014
22.12.2022	საერთაშორისო ურთიერთობების და სამართლის ფაკულტეტებისთვის გაიმართა სააპელაციო სასამართლოს ტური	გასვლით-შემეცნებითი აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014

05.10.2022	სოციალურ-მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის ჩატარდა გასვლითი ტური შიდა ქართლში	გასვლით-შემეცნებითი აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014	
16.10.2022	სამართლის ფაკულტეტზე ჩატარდა გასვლითჯ ტური ძამას ხეობაშ	გასვლით-შემეცნებითი აქტივობ		https:/
26.10.2022	კახეთში უცხოელი სტუდენტებისთვის გასვლითი ტური გაიმართა	გასვლით-შემეცნებითი აქტივობა	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014	
24.06.2022	ქართული ლიგის ფინალი	გასართობ-შემეცნებითი	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014	
23.12.2022	"სტუდენტური ფესტივალი 2022"-ის ფარგლებში გაიმართა ჩემპიონატი მხიარულთა და საზრიანთა გუნდს შორის	გასართობ-შემეცნებითი	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014	
24.06.2022	ინდურ-არაბული საღამო გაიმართა	ინტერკულტურალური ღონისძიება	https://www.facebook.com/profile.php?id=100063724794014	

უწყვეტი განათლება

უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა მოიცავს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერის სერვისების მიწოდებას.

კორპორაციული ელექტრონული ფოსტის და სხვა საკომუნიკაციო არხებით სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გადაგზავნილ იქნა პარტნიორი ორგანიზაციების და სხვა კომპანიების 260-მდე ვაკანსია და ინფორმაცია სტაჟირების პროგრამების შესახებ.

ასევე გაწეულ იქნა კარიერული კონსულტაციები შემდეგ საკითხებზე:

- CV-ის შედგენა;
- სამოტივაციო წერილის შედგენა;
- სამსახურის ძიების ხერხები;

  და სხვა.

150-მდე პირს გაეწია ინდივიდუალური კარიერული კონსულტაცია.

საანგარიშო პერიოდში სტუდენტთა კარიერული წინსვლის ხელშეწყობისათვის განხორციელდა შემდეგი უფასო მოკლევადიანი კურსები:

- ტრენინგი - შექმენი საკუთარი პროფესიონალური პორტფოლიო;
- SPSS კურსი დოქტორანტებისთვის;
- მასტერკლასი თემაზე: როგორ მოვამზადო CV (რეზიუმე)?; როგორ მოვძებნო ვაკანსიები და სად მივაგნო დამსაქმებლებს?; როგორ მოვემზადო გასაუბრებისთვის?; როგორ მოვიქცე დამსაქმებელთან პირველ შეხვედრაზე?; როგორ მოვაწონო თავი დამსაქმებელს?;
- მასტერკლასი თემაზე - „ეფექტური CV-ის;
- მასტერკლასი თემაზე: „დროის მართვის სამუშაო შეხვედრა/Time Management Workshop;
- ტრენინგი -საჯარო გამოსვლები;

- ტრენინგი - კარიერის დაგეგმვა.

მნიშვნელოვანია, რომ სამსახური ახორციელებს აქტიურ თანამშრომლობას პოტენციურ დამსაქმებლებთან. კერძოდ, აფორმებს მემორანდუმებს, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ატარებს დასაქმების ფორუმებს, კარიერის დღეებს, ორგანიზებას უწევს პროფესიულ დღესასწაულებს, პროფესიურ ტურებს და სხვადასხვა სამუშაო ფორმატების ფარგლებში ახდენს დამსაქმებლებთან მჭიდრო კომუნიკაციას. ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ორჯერ გამოცხადდა საადვოკატო ბიურო „მიგრიაული და პარტნიორების“ სახელობითი სასტიპენდიო კონკურსი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის;
- სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დაიწყო თანამშრომლობა და გაფორმდა მემორანდუმი „პაშა ბანკთან“ ;
- უნივერსიტეტში ხორციელდება შიდა სტაჟირების პროგრამა სტუდენტთა კარიერული და პროფესიული უნარების განვითარების მიზნით. სტაჟირების პროგრამის ფარგლებში სტუდენტებმა პრაქტიკა გაიარეს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში: სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატი, ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატი, სამართლის ფაკულტეტის დეკანატი, პერსონალის მართვის სამსახური, უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების სამსახური, დოქტორანტურის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, ბიზნესის ინკუბატორი, ნატოსა და ევროკავშირის კვლევითი ცენტრი;
- ჩატარდა შეხვედრა ნოტარიუსთა დღესთან დაკავშირებით. შეხვედრის ფარგლებში განიხილეს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის საკადრო პოლიტიკა და ნოტარიუსთა კარიერისა და პრაქტიკა/სტაჟირების პროგრამების შესახებ;
- შეხვედრა პოტენციურ დამსაქმებელთან, კერძოდ „პსპ“-ს სააფთიაქო ქსელის წარმომადგენელთან;
- ორჯერ შედგა შეხვედრა პოტენციურ დამსაქმებელთან, კერძოდ, კომპანია „ავერსის“ წარმომადგენლებთან;
- პროფესიული ტური კომპანია „გეფაში“;
- პროფესიული ტური კომპანია კრედოში;
- ჩატარდა დასაქმების ფორუმი. ფორუმში მონაწილეობას იღებდნენ კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები;
- ექიმ-კარდიოლოგ (ნიუ-ორკის მაიმონდის ჰოსფიტალი), ნანა გეგეჭკორის ვებინარი მედიცინის ფაკულტეტის ქართული და ინგლისურენოვანი პროგრამების სტუდენტებისთვის.

უწყვეტი განათლების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები

უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების სამსახური ახორციელებს საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის უწყვეტი განათლების პროგრამებს. უნივერსიტეტში უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების, პერსონალის მართვის და სხვა სამსახურების ჩართულობით შემუშავდა როგორც ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების 2022 წლის სამოქმედო გეგმა, ასევე აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების 2022 წლის სამოქმედო გეგმა. სამსახურმა ადმინისტრირება გაუწია შემდეგ ტრენინგებს:

- ადმინისტრაციის თანამშრომელთა ინგლისურ ენაში მომზადების/გადამზადების ტრენინგი;

- სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურის ძირითადი მახასიათებლები;
- ციტირების სტილები, წყაროების გამოყენება და დამოწმება სამეცნიერო ნაშრომში;
- სამეცნიერო ნაშრომის უცხოენოვან ჟურნალებში გამოქვეყნება-მოძიება, გაფორმების მეთოდები;
- ციტირების ინდექსისა და საერთაშორისო სივრცეში მკვლევრის ცნობადობის გასაუმჯობესებელი მეთოდები.

საქართველოში არსებული საბაზრო მოთხოვნებიდან გამომდინარე, სამსახური ნერგავს და ადმინისტრირებას უწევს ტრენინგების პროგრამებს ფართო საზოგადოებისათვის:

- Excel-ის სასერტიფიკატო ტრენინგკურსი;
- შრომის სამართლის ტრენინგი;
- პროექტების მართვის ტრენინგი;
